№11

დეკემბერი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ბოლნისის მუნიციპალიტეტი საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის გამარჯვებული ზედიზედ მეოთხედ გახდა

გვ:2

ბოლნისის მთავარი ნაძვის ხე გრანდიოზული ღონისძიებით აინთო

გვ:3

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა მოწყვლადი კატეგორიის 165 ოჯახს საახალწლო ნობათი გადასცა

გვ:4

ბოლნისის მუნიციპალიტეტი საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის გამარჯვებული ზედიზედ მეოთხედ გახდა

ქალაქ თბილისში საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის 2021 წლის კონკურსში გამარჯვებული მუნიციპალიტეტების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ(NALAG) გამარჯვებული მუნიციპალიტეტები 8 ნომინაციაში გამოავლინა.

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის 2021 წლის კონკურსში გამარჯვება ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროგრამები საუკეთესოდ ორ ნომინაციაში დასახელდა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ, „ბოლნისის საზოგადოებრივი ცენტრის" მიერ შემუშავებული პროექტი „Sars-Cov 2 ვირუსით გამოწვეული ინფექციის საწინააღმდეგო იმუნიზაციის ხელშეწყობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე" ნომინაციაში „COVID -19 ვაქცინაციის ხელშეწყობა და პოსტ-კოვიდ აღდგენა" საუკეთესოდ დაასახელა. ვაქცინაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიზნით, „ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი", საქართველოს მასშტაბით პირველი დარეგისტრირდა იმუნიზაციის მიმწოდებელ დაწესებულებად და ცენტრის ბაზაზე შექმნა სამი მობილური ბრიგადა, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით იმუნიზაციას უზრუნველყოფს.

წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი პროექტი „სათემო ცენტრები ბოლნისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მხარდასაჭერად", NALAG-მ ნომინაციაში „ახალგაზრდების გააქტიურების, მობილიზაციის და ჩართულობის ხელშეწყობა" გამოარჩია. პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდების მხარდაჭერის, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტმა 6 დასახლებულ პუნქტში, მათ შორის ერთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ სოფლებში, სათემო ცენტრები გახსნა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე, საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის ჯილდოები, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა გადასცა.

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსს, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია გაეროს განვითარების პროგრამის – ,,ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ხელშეწყობა საქართველოში'' მხარდაჭერით ახორციელებს.

„დღეს მართლაც ამაყი მერი ვარ, რადგან ბოლნისის მუნიციპალიტეტი ზედიზედ მეოთხედ, საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსის გამარჯვებული გახდა. წელს კი ეს ჯილდო ერთდროულად ორ ნომინაციაში გადმოგვეცა. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციამ ბოლნისის საზოგადოებრივი ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტი „Sars-Cov 2 ვირუსით გამოწვეული ინფექციის საწინააღმდეგო იმუნიზაციის ხელშეწყობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე" ნომინაციაში „COVID -19 ვაქცინაციის ხელშეწყობა და პოსტ-კოვიდ აღდგენა" საუკეთესოდ დაასახელა. ნომინაციაში „ახალგაზრდების გააქტიურების, მობილიზაციის და ჩართულობის ხელშეწყობა" კი გამარჯვებულად ბოლნისის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი პროექტი „სათემო ცენტრები ბოლნისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მხარდასაჭერად" დასახელდა. პანდემიის დამარცხების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ვაქცინაციაა, სწორედ ამიტომ ვაქცინაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოში პირველმა „ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ცენტრმა შექმნა სამი მობილური ამცრელი ბრიგადა, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სოფლებში ვაქცინაციის პროცესს ახორციელებს. ამ ეტაპზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში ყველა სახის კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინის მიღებაა შესაძლებელი და ვაქცინაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში შეუფერხებლად და ყოველგვარი ხარვეზების გარეშე ხორციელდება. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გაძლიერებას. ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიზნით, წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, დოკუმენტის ფარგლებში კი ახალგაზრდების მხარდაჭერის, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტმა 6 დასახლებულ პუნქტში, მათ შორის ერთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ სოფლებში, სათემო ცენტრები გახსნა. ცენტრებში ჩვენს ახალგაზრდებს სხვადასხვა პროექტის განხორციელებისა და მათი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება აქვთ. მინდა აღნიშნულ პროექტებში ჩართულ თანამშრომლებს მადლობა გადავუხადო დაუღალავი შრომისა და საკუთარი საქმის ერთგულებისთვის. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას კი კიდევ ერთხელ ვუხდი დიდ მადლობას, რომ ჩვენი პროგრამები საუკეთესოდ აღიარა, მიღებული ჯილდოები ჩვენთვის ერთგვარი მოტივაციაა სამომავლოდ, რომ მუნიციპალიტეტისა და ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და ეფექტური პროექტები შევიმუშავოთ", – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში, ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით 2022 წელს 375 000 ლარია გათვალისწინებული

ბავშვთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნებისთვის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში უკვე ერთი წელია მუშაობს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. ამ მიმართულებით სოციალურ პროგრამებზე 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 375 000 ლარია გათვალისწინებული. ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის კუთხით გაწერილი პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია განყოფილების უფროსმა ლელა კვირიკაშვილმა მოგვაწოდა:

,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში შექმნილია სტრუქტურული ქვედანაყოფი, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, სადაც თანდართული კრიტერიუმების შესაბამისად, დანიშნულია ყველა შესაბამისი კადრი: კოორდინატორი, ინსპექტორი, იურისტი, სოც. მუშაკი, ფსიქოლოგი .

პროგრამით გათვალისწინებულია:

ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (შეუქცევადი დაავადებებით დაავადებულთა ყოველთვიური მედიკამენტებით უზრუნველყოფა) – წლის განმავლობაში 1500 ლარი.

შშმ პირების დახმარებები – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მატერიალური და სამედიცინო დახმარება (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები).

მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ ბავშვებს სტაციონარში მოთავსების შემთხვევაში დახმარება გაეწევათ ერთჯერადად:

შშმ ბავშვებს, ფიზიოთერაპიისა და სარეაბილიტაციო მკურნალობისთვის – 1000 ლარი;

სტაციონალური მკურნალობისთვის – 1000 ლარი;

დიაგნოსტიკური კვლევებისათვის – 500 ლარი;

მედიკამენტური მკურნალობისთვის (სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით) – საჭიროებისამებრ.

ყოველთვიური მატერიალური დახმარება, მუნიციპალური პენსია, გაეწევათ

ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს – 150 ლარი.

ბ) შშმ პირები, რომლებიც სარგებლობდნენ რეიტენგრაციის პროგრამით – 150 ლარი.

ფენინკეტონურიითა და ჰიპერფენილალანემიით დაავადებული ბავშვების დახმარება – 3 500 ლარი;

სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა – 80 ლარის ოდენობის;

არასრულწლოვანთა ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა – პროგრამა გულისხმობს ლოგოპედის მომსახურების საფასურს 1000 ლარის ოდენობით ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შემდეგი კატეგორიის შშმ ბავშვების დაფინანსებას:

ა) დაუნის სინდრომი;

ბ) აუტისტური სპექტრი;

გ) ცერებრალური დამბლა;

დ) სმენადაქვეითებული (IV ხარისხის სმენაჩლუნგობა);

რეიტენგრირებული ბავშვების ყოველთვიური დახმარებები – ოჯახში რეიტენგრირებულ ბავშვებს – 100 ლარი;

გათბობის სეზონზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა – 200 ლარი (ერთ- ერთ კატეგორიად გათვალისწინებულია ოჯახები, სადაც სამი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს);

მკურნალობით უზრუნველყოფა (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები) არაუმეტეს 1000 ლარისა (გამონაკლის შემთხვევებში სრულად).

სოციალურად დაუცველ ბავშვებს (სარეიტინგო ქულა 150 000 მდე);

დედ-მამით ობოლ, იძულებით გადაადგილებულ, ლეიშმანიოზით,

ფარისებრი ჯირკვლით და ფსორიაზით დაავადებულ ბავშვებს და ა.შ.

მედიკამენტებით უზრუნველყოფა

მერიაში დამატებით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ინტენსიურად განიხილავენ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების განცხადებებს, რომლებიც ამ მომენტში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში, ან რეგისტრირებულნი არიან, არ აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მომართვის პერიოდში მძიმეა მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

2009 წლიდან ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო დღის ცენტრი „განთიადი", სადაც შშმ ბავშვები იღებენ მათზე მორგებული სტანდარტის შესაბამის მომსახურეობას. ისინი უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური სწავლების მეთოდიკით, ექიმის დანიშნულების შესაბამისად, შედგენილი კვების რაციონით და ზაფხულის სეზონისთვის დასვენებით.

დღის ცენტრში არის ორჯერადი კვება, ტრანსპორტით მომსახურება, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემო. ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, იმართება ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ეწყობა ექსკურსიები. შშმ ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან საზაფხულო კურორტით, მათი რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის მიზნით. ასევე ცენტრი უზრუნველყოფს შშმ ბავშვების ინკლუზიური განათლებისათვის მომზადებას.

2017 წლიდან გაიხსნა კრიზისული ცენტრი , რომლის მიზანია უზრუნველყოს პირდაპირი დაცვა და დახმარება, ოჯახური და სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების (მათ შორის ბავშვების). ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, პროგრამით უზრუნველყოფილია თავშესაფრით, სამედიცინო და იურიდიული მომსახურებით, ჰიგიენური საშუალებებით, კვებით, სოციალური მუშაკისა და ექთნის მომსახურეობით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია იღებს ვალდებულებას, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა ბავშვს, გაუწიოს შესაბამისი დახმარება და იზრუნოს მათ სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებაზე".

ბოლნისის მთავარი ნაძვის ხე გრანდიოზული ღონისძიებით აინთო

ახალი 2022 წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, საახალწლო განწყობის შესაქმნელად ნაძვის ხის საზეიმოდ ანთების ღონისძიება ტრადიციულად ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა აქტივობებით იყო დატვირთული, აქედან უმთავრესი პატარებისთვის სიურპრიზი გახლდათ, თოვლის ბაბუა მისთვის მოწყობილი ქოხიდან ბავშვებს საჩუქრებს ურიგებდა ასევე პატარების განწყობაზე ანიმატორებიც ზრუნავდნენ.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქცია დაათვალიერა, დააგემოვნა და ბოლნისელებს დამდეგი ახალი წელიც მიულოცა.

მუნიციპალიტეტის მერიის წინ სპეციალურად ამ დღისთვის მოეწყო დახლები, სადაც შემოქმედებითი კოლექტივების და ადგილობრივი მეწარმეების მიერ შექმნილი პროდუქციის გამოფენა გაყიდვა მოეწყო. ზამთრის სუსხიან დღეს ტრადიციული მეთოდით დამზადებულმა გლინტვეინმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

მუნიციპალიტეტის მერიის წინ დამონტაჟებულ სცენაზე კულტურის სახლთან არსებული ადგილობრივი კოლექტივების მონაწილეობით ლამაზი ღონისძიება ჩატარდა, სპეციალურად მოწვეული თბილისის ქალთა გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, საახალწლო განწყობა კიდევ უფრო აამაღლა.

ნაძვის ხის განათებამდე რამდენიმე წუთით ადრე მუნიციპალიტეტის მერმა მოსახლეობას დამდეგი შობა ახალი წელი მიულოცა და ულამაზესი ნაძვის ხეც აინთო.

ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერიკით, ბენდისა და დიჯეი სეტის კონცერტით დასრულდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი გილოცავთ შობა-ახალ წელს

დავით შერაზადიშვილი - ძვირფასო ბოლნისელებო, გილოცავთ ახალ წელს! 2022 თითოეული თქვენგანის ოჯახისთვის ბედნიერების, სიხარულის, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს. მთელი გულით გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და ვიმედოვნებ, რომ 2022 წელს ჩვენი ქვეყანა, სხვადასხვა მიმართულებით, არაერთ წარმატებას მიაღწევს. უპირველეს ყოვლისა, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ჩემდამი გამოცხადებული მხარდაჭერისთვის მსურს, დიდი მადლობა გადაგიხადოთ.

შეუძლებელია არ ვახსენოთ ის რეალობა რომელშიც დღეს გვიწევს ცხოვრება, სამწუხაროდ, მთელი მსოფლიო, მათ შორის ჩვენც, ჯერ კიდევ პანდემიურ პირობებში ვცხოვრობთ, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანი სწორედ ამ უხილავ მტერზე გამარჯვებაა. პანდემიის დამარცხების ეფექტური გზა კი მასობრივი ვაქცინაციაა. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ამ მხრივაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, საქართველოს მასშტაბით, ვაქცინაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიზნით, პირველმა სწორედ „ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ცენტრმა შექმნა სამი მობილური ამცრელი ბრიგადა, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სოფლებში ვაქცინაციის პროცესს ახორციელებს.

მიუხედავად პანდემიისა 2021 ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის წარმატებული წელი აღმოჩნდა. 2021 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში 13 000 000 ლარი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 10 390 გრძივი მეტრი საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა, ყოფილი კატერინენფელდის ცენტრალური უბნების დარჩენილ მონაკვეთებზე ადგილობრივი ბაზალტით ქუჩების მოკირწყვლა დასრულდა, რაც ქალაქ ბოლნისის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ წლებია ვახორციელებთ მოწყვლადი კატეგორიის ოჯახების საცხოვრებელი სახლების სახურავების შეცვლის პროექტს, ამ პროგრამით 2021-ში სოციალურად დაუცველმა 80-მა ოჯახმა ისარგებლა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას, ახლა უკვე ჩვენი მოსწავლეები თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის, ადაპტირებულ სკოლაში გააგრძელებენ სწავლას. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს ასევე ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოები სულ მალე დასრულდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ პროგრამებს. 2021 წელს, ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტმა 4 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. სოციალური პროგრამებით სხვადასხვა კატეგორიის მოწყვლადმა ოჯახებმა და შშმ პირებმა ისარგებლეს. ჩვენი ბენეფიციარებისთვის სოციალური პროგრამების დახვეწას კვლავაც ვგეგმავთ და მომავალში სერვისები მეტად ინკლუზიური გახდება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში ბოლნისის მუნიციპალიტეტი გამარჯვებულად ზედიზედ მეოთხედ დაასახელა, ამჯერად ორ ნომინაციაში. ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული პროექტი „სათემო ცენტრები ბოლნისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მხარდასაჭერად“ ნომინაციის „ახალგაზრდების გააქტიურების, მობილიზაციის და ჩართულობის ხელშეწყობა“ გამარჯვებული გახდა. ბოლნისის საზოგადოებრივი ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტი „Sars-Cov 2 ვირუსით გამოწვეული ინფექციის საწინააღმდეგო იმუნიზაციის ხელშეწყობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე” ნომინაციაში „COVID -19 ვაქცინაციის ხელშეწყობა და პოსტ-კოვიდ აღდგენა“ საუკეთესოდ დასახელდა. ეს წარმატება ნათლად ადასტურებს რომ მუნიციპალიტეტი სწორი მიმართულებით ვითარდება და 2022 წელს ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად მასშტაბური გახდება.

2022-ში ჩვენ, მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული არაერთი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. ჩვენი მიზანი ბოლნისის მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარებაა და ამ მიზნის მისაღწევად ძალისხმევას არ დავიშურებთ.

მჯერა, რომ 2022 წელის ირთულეების დაძლევის, ერთიანობის და წარმატების მომტანი იქნება - გოგი მეშველიანი

გოგი მეშველიანი - გილოცავთ ახალ, 2022 წელს! ეს წელი ბედნიერების, ჯანმრთელობის, მშვიდობის და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის!

განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს ბოლნისელებს, დმანისელებს, თეთრიწყაროელებს და წალკელებს.

2021 წელი სავსე იყო გამოწვევებით. ისევ მოგვიწია უხილავ მტერთან ბრძოლა თუმცა, ამავე წელმა გვიჩვენა, რომ შეგვიძლია სირთულეებთან ღირსეული გამკლავება. შევძელით თავისუფალ გარემოში ჩაგვეტარებინა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და გაგვეგრძელებინა ქვეყნის განვითარება.

2021 წელმა გვჩუქა გმირები იმ ადამიანების სახით ვინც დღედაღამ იდგა ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე. მადლობა - ექიმებს, ექთნებს, და იმ პროფესიის წარმომადგენლებს, ვინც პირდაპირ არის ჩართული პანდემიის მართვის პროცესში, რომ არა ამ ადამიანების პროფესიონალიზმი, საქმისადმი თავდადება და ძალისხმევა კიდევ უფრო რთული იქნებოდა ამ გზის გავლა .

ასევე ვულოცავ პოლიციელებს, ჯარისკაცებს, პედაგოგებს და ყველას, ვინც ყოველდღიურად შრომობს ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.

მჯერა, რომ 2022 წელი იქნება სირთულეების დაძლევის, ერთიანობის და წარმატების მომტანი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა მოწყვლადი კატეგორიის 165 ოჯახს საახალწლო ნობათი გადასცა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, პირველ მოადგილე ბუბა გობეჯიშვილთან, ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე გიორგი მირიანაშვილთან და ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელ ბექა წაქაძესთან ერთად მოწყვლადი კატეგორიის 165 ოჯახს, რომელთა ყოველდღიურ უფასო კვებას ბოლნისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და მათ წინასაახალწლო საჩუქრები გადასცა.

საშობაო ნობათები „შინ მოვლის სერვისით“ მოსარგებლე მარტოხელა ხანდაზმულ ბენეფიციარებსაც გადაეცათ. აქციამ უკვე მიიღო ტრადიციული სახე და ის მომავალშიც გაგრძელდება.

„წინასაახალწლოდ, ტრადიციულად ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებს საახალწლო ნობათებს გადასცემს. წელს საახალწლო ნობათი 165-მა ოჯახმა მიიღო. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ პროგრამებს და ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად ვიზრუნოთ შეჭირვებულ ოჯახებსა და მოხუცებზე, პანდემიის პირობებში კი ვფიქრობ, რომ მსგავსი დახმარება ჩვენი მოქალაქეებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. მსურს, დამდეგი შობა-ახალი წელი თითოეულ ბოლნისელს მივულოცო და მათ ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვო“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

დედა ეკლესია - სასუფეველში შემავალი ერთადერთი კარიბჭე

,,ისინი ათეისტებს არ უწოდებენ საკუთარ თავს, მათ რომ ჰკითხო, კომუნიზმი და ბოლშევიზმი სძულთ, მაგრამ საქმით და არსით, ისინიც ებრძოდნენ ეკლესიას, უარყოფდნენ ქეშმარიტებას და ესენიც, ისინიც სდევნიდნენ და ესენიც, უბრალოდ ფორმები დაიხვეწა, მაშინ მეტი იყო ტერორი, დაპირისპირება და ნგრევა, ეხლა ტელევიზიით, სხვადასხვა დეზინფორმაციის გაშუქებით, სასულიერო პირების მიზანმიმართული დისკრედიტაციით გრძელდება, რა თქმა უნდა ეკლესიაშიც ადამიანები არიან, იქაც არის გარკვეული ცდუნებები, ცოდვა და ნაკლი, მაგრამ ეს არის მებრძოლი ეკლესია. ჩვენ ვცდილობთ განვითარებას და დახვეწას, მაგრამ ამ ჩასაფრებულთა მიზანია, სიძულვილი ეკლესიის მიმართ ,რომ ადამიანებმა ზურგი აქციონ მას“

ბოლნელი მთავარეპისკოპოსი, მეუფე ეფრემი გვილოცავს დამდეგ შობა ახალ წელს და სხვადასხვა გამოწვევებზე გვესაუბრება

-უპირველეს ყოვლისა დაგლოცავთ, მივესალმები თქვენს მკითხველს, დავლოცავ ჩვენს ეპარქიას, მშვიდობა და ჯანმრთელობა მოგვცეს ღმერთმა, ქართველი კაცი ყოველთვის იმედით შეჰყურებდა მომავალს და ამ სულიერი სიმხნევით, კიდევ ერთი მარხვა დაგვიდგა, წლის ბოლოს არის შობის მარხვა და ჩვენი ეკლესია გვამზადებს ამ უდიდესი დღესასწაულისთვის, მარხვა ეს არის განწმენდა ვნებებისგან, ამისათვის ჩვენ ვეწევით თავშეკავებას ხორცეული პროდუქტებისაგან, მეორე მხარეა შინაგანი, როდესაც ადამიანი განიცდის მის მიერ ჩადენილ ცოდვებს, ამისთვის არსებობს მოძღვარი და აღსარება, სადაც ადამიანი მოინანიებს, დაფიქრდება, ეცდება დაიწყოს ახალი ცხოვრება, ყოველი დღე ახალია და ადამიანი უნდა ცდილობდეს, ყოველთვის ახალი ცხოვრების დაწყებას. არ არსებობს უცოდველი ადამიანი, მთავარია სინამდვილეს გავუსწოროთ თვალი, ვინ ვართ ჩვენ ღვთის წინაშე, საკუთარი თავის წინაშე, სწორედ მარხვის არსი ისაა, რომ ადამიანმა საკუთარ სულში ჩაიხედოს, მოინანიოს და გამოსწორდეს, ამაში ჩვენ გვეხმარება ღვთის მცნებები, დარიგებები, რაც მოცემულია წმინდა წერილებში, სახარებაში, მამათა დარიგებებში, ასე განწმენდილი გულით უნდა შევხვდეთ შობის დღესასწაულს, რომ ჩვენს გულში დაიბადოს უფალი. მთავარია, უფალთან ერთად მიდიოდეს ადამიანი ამ წუთისოფლის გოლგოთის გზაზე, როგორც უფალმა გაიარა, მიიტანოს საკუთარი ჯვარი, რომ მარადიულ ცხოვრებაში აღდგეს და დიდებით განისვენოს უფალთან ერთად

მეუფეო, რა არის მარხვა სინანულის გარეშე?

აზრი და ფასი ეკარგება ხორციელ მარხვას, თუკი ადამიანში არაა სინანული. სამწუხაროდ, ეს მთავარი გვავიწყდება, ვიცავთ გარეგნულ მხარეს და შინაარსი რჩება ყურადღების მიღმა. ეფრემ ასური მოგვიწოდებს: მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა, სანამ სხვის ნამოქმედარს შევაფასებდეთ, შევაფასოთ საკუთარი თავი, უამრავი ნაკლი, რომლის გამოსწორებაც გაცილებით სასარგებლო იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ გარემო სამყაროსთვის, ასე რომ, გამოსწორება დავიწყოთ საკუთარი თავით, ამას გვასწავლის დედა ეკლესია და ესაა აზრი ჩვენი ცხოვრებისა

არიან მეუფევ ადამიანები, მარხულობენ და ეკლესიაში არ დადიან ეკლესიაა დედა, დედის წიაღში უნდა მოხდეს ბავშვის აღზრდა, იმდენად რთულია სულიერი ცხოვრების ნიუანსები და ცდუნებები, ადვილად შესაძლებელია ამ თვითრჯულობით და თვით დაწესებით ადამიანი შეცდეს, შეიძლება გარეგნულად ეს ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ მერწმუნეთ, ბოროტ ძალას იმდენი დახვეწილი ხაფანგი და ცდუნება აქვს, რომ შესაძლოა ადვილად აღმოჩნდე მავნე ზეგავლენის ქვეშ. კარგია, თუ ადამიანს სურვილი დაებადა ეკლესიურად, ღვთის მცნებებით დაიწყოს ცხოვრება, მაგრამ გაუგებარია, რატომ იკავებს თავს, ჰყავდეს გამოცდილი მოძღვარი, რომელიც მისცემს რჩევა-დარიგებებს? აქ შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, რამე პრობლემა ხომ არა აქვს ამ ადამიანს ეკლესიასთან, ან მოძღვართან, რატომ ცდილობს გაემიჯნოს ეკლესიას და თავისი სამყარო მოიწყოს? ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ დედა ეკლესიის შვილები, ადამიანს თავისი მიმდინარეობა არ უნდა ჰქონდეს, ეს გზის აცდენაა, ამიტომ ასეთებს მოუწოდებ, კარგია რომ მარხულობს, მაგრამ აუცილებლად მივიდეს ეკლესიაში, მოძღვართან, მოინანიოს და მიტევება მიიღოს. ჯერ მოციქულებს მისცა ღმერთმა ამის ხელმწიფება, მოციქულთა ხელდასმით მღვდელმთავრებს და შემდგომ სამღვდელოებას. აღსარება უნდა ითქვას მოძღვართან და მერე მიიღოს წმინდა ზიარება, ამას ადამიანი ინდივიდუალურად ვერ შეძლებს, ამიტომ ყველა ეკლესიაში უნდა გაერთიანდეს, ის არის ერთადერთი კარიბჭე სასუფეველში შემავალი.

მეუფევ, რა გამოწვევების წინაშე დააყენა ეკლესია პანდემიამ?

ეს გლობალური საკითხია და ყველას შეეხო, მთელი დედამიწა მოიცვა ამ უხილავმა განსაცდელმა. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამის თაობაზე, არის ვერსიები, რომ შესაძლოა ეს ხელოვნური იყოს, ყოველ შემთხვევაში, ღვთის ნებისა და დაშვების გარეშე, არაფერი ხდება, ფოთოლიც არ ვარდება ხიდან, როცა ადამიანურმა ცოდვებმა, ცხოვრების არასწორად გააზრებამ, როდესაც ადამიანი არასწორად იყენებს საღვთო მოცემულ მეცნიერულ მიღწევებსა და შესაძლებლობებს, შინაგანი ცოდვა ბევრ სირთულეს წარმოშობს და იკრიბება ეს ყველაფერი, ეს მოცემულობაა და ფაქტია, ვირუსი არსებობს, არ ინდობს არავის, მთავარი იმედი მორწმუნისთვის უფალია, ის რაც არ შეუძლია ადამიანს, შეუძლია ღმერთს, ამიტომ ეკლესია ლოცულობს, საშველია უფლის ვედრებაში და ლოცვაში. ამ განსაცდელში, როდესაც, ჯერჯერობით არც წამალია, არც მეცნიერული მიღწევები და ყველა ერთ ქვაბში ვიხარშებით, სად ვხედავთ საშველს მორწმუნე მართლმადიდებელნი, თუ არა დედა ეკლესიის წიაღში. არ უგულებელჰყოფს ეკლესია წამლის გამოყენებას, თუ კი ეს გონივრული იქნება და ღვთიურს არ ეწინააღმდეგება, აქაც ადამიანებს სხვადასხვა აზრი აქვთ, თვითონ წყვეტენ რა წამალი გამოიყენონ, ან გამოიყენონ თუ არა, ეკლესიამ ცალსახად გამოაცხადა, რახან ეს საღვთისმეტყველო საკითხი არაა და სამედიცინო სფეროა, ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელ ექიმს დაუჯეროს და რომელ აფთიაქში შეიძინოს წამალი. ეკლესიის ოფიციალური პოზიცია ამ თემასთან მიმართებაში, რომ არც აცრა და არც აუცრელობა, დაღუპვის ტოლფასი არაა, არ ვარჩევთ ადამიანებს ვინ ეზიაროს, ვინ არ ეზიაროს აცრილებისა და აუცრელების მიხედვით, ამის ცალსახა მოწოდება ან არ მოწოდება, ეკლესიის მხრიდან მართებული არ არის. რაც შეეხება შეზღუდვებს, ადამიანებს აქაც უნდა მიეცეთ თავისუფალი ცხოვრების და მოქმედების საშუალება, რადგან არ იქნება მართალი დიფერენცირებულად განვასხვავოთ ვინ არის აცრილი, ვინ აუცრელი. ამან ყოფით ცხოვრებაში გარკვეული დაპირისპირებები გამოიწვია, განკითხვა არ უნდა ხდებოდეს. გადაწყვიტოს ადამიანმა ამას სამედიცინო მხრიდან შეხედავს, თუ სოციალური მხრიდან, მათი არჩევანია, რაღაცა შეიძლება აცრილისთვის, რაღაცა არ შეიძლება აუცრელისთვის, ეს არ მიმაჩნია სწორად, ეკლესიამ მოუწოდა სახელმწიფოს, რომ ამ განსხვავებებისგან თავი შეიკავოს

ზოგიერთნი ამ აცრაში ანტიქრისტეს ნიშანს ხედავენ, ხომ არ მიგაჩნიათ მეუფევ, რომ ეკლესიამ ცოტა გამოკვეთილი პოზიცია დააფიქსიროს?

-იმ საშინელებას, იმ დამღუპველს, რასაც ადამიანები ფიქრობენ ანტიქრისტეს ბეჭედს, ეს ის არ არის. ეს სინოდის განჩინებაში იყო, ასეთი რამე რომ ყოფილიყო, ეკლესია იტყოდა, მომავალში რა იქნება, არავინ იცის, ტექნიკურად და რეალურად, როდის რა იქნება, არავინ იცის, ბუნებრივია მორწმუნეებში არის გარკვეული სიფრთხილე, ესეც გასაგებია, მაგრამ ფანატიზმში და პანიკურ შიშში არ უნდა ჩავარდეს ადამიანი, არც ერთი უკიდურესობა ვარგა, არც მეორე, ამ ორში გონივრული და საღი არჩევანი უნდა გააკეთოს ადამიანმა, ამიტომ იყო ეკლესიის პოზიციაში ცალსახად ნათქვამი, რომ გაფრთხილდით, გამოიკვლიეთ, ჩვენმა ეკლესიამ გონივრული, ფრთხილი სამეუფეო გზა, ოქროს შუალედი აარჩია, მარჯვნივაც საფრთხეა, მარცხნივაც და, სად გადავარდები, რა მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, სიფრთხილე გონივრულია, მაგრამ ამასაც გარკვეული ზღვარი და ფარგლები გააჩნია, ყველაფერში შავი და უბედურება არ გეჩვენებოდეს. იმედია, ჩვენი უწმინდესის დიდი გამოცდილებით, სიბრძნით და მამამთავრული წინამძღოლობით, გონივრულ და სწორ არჩევანს გააკეთებს ეკლესიის სისავსე. და ეს მიეწოდება მრევლს. მაგრამ კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდა და ადამიანს, როგორც აწყობს, ისეთ ინტერპრეტაციას აკეთებს, ჩვენი მოწოდება იქნება, კარგად ჩავწვდეთ შინაარს და თავი შევიკავოთ ზედმეტი ემოციებისგან. ეკლესია წამლის, ექიმის, აცრების წინააღმდეგი არაა. არიან ადამიანები, რომლებიც აიცრნენ, ეს მათი არჩევანია, არიან ისეთები, ვინც ამას არ ეთანხმება, ამის გამო განვკვეთოთ და დავღუპოთ? ეს უფრო დაყოფს და დააპირისპირებს ადამიანებს. ამ შემთხვევაში მრევლი უნდა დაუკვირდეს ეკლესიის პოზიციას და გამოიტანოს დასკვნა. რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრია, მაგრამ ხომ არსებობს ეკლესიის აზრი, კრებსითი გადაწყვეტილება, ღვთიური სიბრძნე და ვიხელმძღვანელოთ ამით. მომავალშიც გვექნება ახალი გამოწვევები, ამაზეც იმსჯელებს ეკლესია, იმედია დრო ყველაფერს დაალაგებს, ჩვენ ვილოცოთ და ვიყოთ რწმენით.

მეუფევ, ბოლშევიზმი, რომელიც წინა საუკუნეში, 70 წლის განმავლობაში ანგრევდა რწმენას სულიერად და ფიზიკურად, არის თუ არა თანამედროვე ლიბერალიზმი?

-არ ახალია ბოროტი ძალის ბრძოლა, ღვთივდადგენილი ეკლესიის და ქეშმარიტების წინააღმდეგ. სადაც ეშმაკმა პირდაპირი ბრძოლა შეჰკადრა ქრისტეს, უფალმა ჯვარცმა მიიღო, რითაც ეშმაკი დამარცხდა და დაკარგა ხელმწიფება ჯოჯოხეთზე და სიკვდილზე, ეს გაბოროტებული ძალა, მთელი ოცი საუკუნეა ცდილობს ადამიანის სული მოინადიროს და მასთან ერთად ჯოჯოხეთში გაიყოლოს, ამ ქვეყნად მთავარი საგუშაგო, ციხე ბურჯი, სვეტი და სიმტკიცე, არის ეკლესია, სწორედ მას ებრძვის ეს ძალა, რეჟისორი ამ გლობალური შეტევას, ბოროტი ძალა ჰყავს, რომ როგორმე ეკლესიას წაართვას შვილები, ადამიანის სულზე ძვირფასი ამ ქვეყნად არაფერია, არც სიმდიდრე და დოვლათი, არც ოქრო-ვერცხლი და მთელი დედამიწა, რადგან ის არის უკვდავი არსება, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, ამიტომ, ამ ჟამთა მიწურულს, როდესაც უკვე ბოლოსკენ მივდივართ, ბუნებრივია ბოროტმა გაამძაფრა ეს ბრძოლა, ისტორიაში უამრავი გლობალური აფეთქებები იყო ათეიზმის პერიოდში, რომელსაც შემდგომ ბოლშევიზმი ეწოდა, ჩეხავდნენ და აწამებდნენ ქრისტიანებს, გასული საუკუნის მთელი 70 წლიანი პროცესია ბოლშევიზმის, ფაქტიურად, ეს 90-იანი წლები ერთგვარი აღმავლობის ხანა იყო და უწმინდესის ნაყოფიერი მოღვაწეობით, აღორძინდა ეკლესია და ქართველი ერი შემობრუნდა ეკლესიისკენ, დამოუკიდებლობაც მოვიპოვეთ, მაგრამ ახალი ძალით, ბოლო ათწლეულია იფეთქა და დაარქვეს ნეობოლშევიზმი, ფაქტიურად ეს არის ათეიზმის ფერისცვალება, ისინი ათეისტებს არ უწოდებენ საკუთარ თავს და მათ რომ ჰკითხო, კომუნიზმი და ბოლშევიზმი სძულთ, მაგრამ საქმით და არსით ისინიც ებრძოდნენ ეკლესიას, უარყოფდნენ ქეშმარიტებას და ესენიც, ისინიც სდევნიდნენ და ესენიც, უბრალოდ ფორმები დაიხვეწა, მაშინ მეტი იყო ტერორი, დაპირისპირება და ნგრევა, ეხლა ტელევიზიით სხვადასხვა დეზინფორმაციის გაშუქებით, სასულიერო პირების მიზანმიმართული დისკრედიტაციით, რა თქმა უნდა ეკლესიაშიც ადამიანები არიან, იქაც არის გარკვეული ცდუნებები, ცოდვა და ნაკლი, მაგრამ ეს არის მებრძოლი ეკლესია, ჩვენ ვცდილობთ განვითარებას და დახვეწას, მაგრამ ამ ჩასაფრებულთა მიზანია სიძულვილი ეკლესიის მიმართ, რომ ადამიანებმა ზურგი აქციონ მას, ისინი ყველაზე მოწყვლად ფენაზე, ახალგაზრდებზე მუშაობენ. მოზარდს, რომელიც ახლა გამოდის ასპარეზზე, გარკვეულ აზრებს უნერგავენ, ამას ქადაგება უნდა დავუპირისპიროთ, მეტი აქტიურობა, ადამიანებთან მისვლა და ცოცხალი მაგალითის მიცემაა საჭირო. პირველ რიგში, ეს სასულიერო პირებს გვევალება, მერე მშობლებს, ოჯახს, სკოლას, კეთილის და ბოროტის გარჩევა ახალგაზრდებს აქედან უნდა ვასწავლოთ. სამწუხაროდ, იმ ტენდენციასაც ავრცელებენ ახალგაზრდებში, რომ არავინ და არაფერია ავტორიტეტი, აქაა ცდუნების გათვლა, როგორ შეიძლება მშობელს არ ჰქონდეს უფლება მიუთითოს, თუნდაც დატუქსოს, ყველაფრისგან თავისუფალი უნდა იყო რწმენისგან, ტრადიციისგან ეკლესიისგან, ღირსებისგანაც, სირცხვილისგანაც, და რას მივიღებთ? ეს იქნება ქაოსი და უმართავი პროცესი, ნათქვამია, ვიწრო კარიბჭეს სამოთხეში შეჰყავსო ადამიანები, დიდ დინებას ჯოჯოხეთშიო, აქ უკვე თითოეულ ოჯახზე და მოზარდზეა დამოკიდებული, ეკლესიამ, ოჯახმა და საზოგადოებამ ერთად უნდა იფიქროს ამაზე, თუ ტაძრამდე არ მოვიდა მოზარდი, ის ქადაგება იქვე დარჩება, ვერც ოჯახი შეექიდება მარტო ამ პრობლემას, თუ ერთიანობაში არ განვიხილეთ ეს საკითხი, ცალკეულად გადაჭრა, ალბათ შეუძლებელი იქნება.

კარს მოგვადგა ახალი წელი, ამ ძნელბედობის ჟამს, მაინც გვიღვივებს სიხარულის და იმედის ნაპერწკალს , მოგვილოცეთ მეუფევ

-გვახალისებს და ამ რთულ დროში ნუგეშს გვგვრის ახალი წლის და შობის შემობრძანება, ეს მომავლის და უკეთესის იმედთანაა დაკავშირებული, მე მინდა დაგლოცოთ თითოეული ბოლნისელი, მრევლი, ბოლნისში მცხოვრები, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა, ყველას სიკეთე და სიხარული, ღვთის წყალობა, გამრავლება და ჯანმრთელობა ვუსურვო, იმედია ეს წელი გაქირვების და პანდემიის ბოლო წელი იქნება, ვაკეთოთ და ვთესოთ სიკეთე, სიყვარული გავუნაწილოთ ერთმანეთს და ღმერთი ასმაგად დაგვიბრუნებს უკან, სხვაგვარად ბედნიერება არ არსებობს, ის არ იძებნება უცხო ქვეყნებში, მატერიალურ დოვლათში და დიდებულ სასახლეებში, ის იძებნება სიყვარულში, სიკეთეში, მიტევებაში, ინებოს უფალმა მთელი საქართველო იყოს ერთიანი და არ იყოფოდეს მავანის და მავანის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, გაერთიანებულიყოს და არ დანგრეულიყოს ოჯახები, ვიყოთ იმედით, რწმენით და და სიყვარულით. გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ბელა ონიანი

სიკეთე გადამდებია, ქველმოქმედება რომელმაც საზოგადოება ერთი მიზნისთვის გააერთიანა

ჩვენს გვერდით არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი ფიქრის გარეშე უყოყმანოდ აკეთებენ სიკეთეს ისე, არც რაიმე ჯილდოს ელიან და არც იმას, რომ სხვებმა შეამჩნიონ და გმირად გამოაცხადონ, მათ მხოლოდ სხვისი დახმარების სურვილით გამოწვეული ემოცია ახარებთ. დღეს სწორედ ასეთ გოგოზე გიამბობთ, რომელიც სხვების გახარებით თავადაც ბედნიერია. ანნა-მარია იმედაშვილს ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი, მუშაობს საკმაოდ დატვირთული გრაფიკით და ყოველი წუთი გათვლილი აქვს, მიუხედავად ამისა ის სხვების დახმარების სურვილმა გააძლიერა, გაათამამა და ყველაფერი შეაძლებინა. გასული წლის მსგავსად წელსაც საახალწლოდ საქველმოქმედო აქცია დაგეგმა. როგორც თავად გვიამბობს სხვების დახმარება, მათი სიხარულით გაბრწყინებული თვალების დანახვა გულს უთბობს და დიდხანს მიჰყვება.

გასულ წელს სოციალურ ქსელში გაჩნდა გვერდი „ბოლნისის ყიდვა-გაყიდვა," სადაც მოსახლეობისთვის საჭირო სხვადასხვა სახის განცხადებები გამოჩნდა. გვერდი ანნა - მარიას ეკუთვნოდა, აქ მალევე განთავსდა საქველმოქმედო შინაარსის აქცია, რომელსაც ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოება ერთმა მიზანმა, სხვების დახმარების სურვილმა გააერთიანა. ,,სიმართლე გითხრათ უძრავი ქონების გაყიდვა მინდოდა, ვეძებდი ფეისბუქზე მიზნობრივ ჯგუფს სადაც შევძლებდი განცხადების დადებას.

ასევე ხშირად მიწევდა სასურველი ნივთების გამოწერა თბილისიდან, რაც არ იყო მოსახერხებელი, პრობლემებს ვაწყდებოდი, ამიტომ ვიფიქრე, არ იქნებოდა ცუდი ისეთი სივრცე თუ გვექნებოდა, სადაც შევძლებდით სხვადასხვა სახის განცხადებების განთავსებას, სწორედ ასე შეიქმნა „ბოლნისის ყიდვა-გაყიდვის" ჯგუფი, რომელმაც შემდგომ საინფორმაციო სახეც მიიღო. "

-რაც შეეხება იდეას თქვენი ქველმოქმედების შესახებ

- საქველმოქმედო აქტივობების ჩატარების იდეა ჯგუფის შექმნიდან რამდენიმე თვეში გაჩნდა, მე და ნიჭიერ ფოტოხელოვანს მარიამ ჭილაიას გვინდოდა ასეთი გვერდის შექმნა,თუმცა დაემთხვა პანდემია. შემოიღეს შეზღუდვები, რის გამოც ეს იდეა ვერ განვახორციელეთ. მას მერე რამდენიმე თვე გავიდა, სურვილი კი ყოველთვის მქონდა, არ ვიცოდი ვის, როგორ და რა ფორმით დავხმარებოდი, გასულ წელს დამიკავშირდა ჩვენი თანამოქალაქე, აქტიური ქალბატონი თამარ ბობოხიძე, მიყვებოდა თუ რამდენ ოჯახს შეექმნა პანდემიის ფონზე ფინანსური პრობლემა, მთხოვა, რომ ჯგუფის საშუალებით გამევრცელებინა ინფორმაცია და გაგვეკეთებინა საქველმოქმედო აქცია

ზუსტად მქონდა გადაწყვეტილი რა ფორმით მოხერხდებოდა ეს და ამიტომ დავდე ჯგუფში გამოკითხვა სადაც ვთხოვდით მოსახლეობას აზრის დაფიქსირებას.

-როგორ შეხვდა საზოგადოება და თუ მოყვა გამოხმაურება?

-საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით შეხვდა საქველმოქმედო აქციას, ბევრი ადამიანი გვწერდა და გამოთქვამდა დახმარების სურვილს. რადგან თავდაპირველად აქცენტი ბავშვებზე გავაკეთეთ, გვინდოდა მათთვის შეგვეძინა სათამაშოები და ტკბილეული, ამიტომ მოგვივიდა იდეა, რომ ამ ბავშვებს დაეწერათ წერილები თოვლის ბაბუისთვის, რომლებიც გამოვაქვეყნეთ ჯგუფში, არ გვქონდა შემდეგი ნაბიჯები დაგეგმილი, თანხის აგროვება, ამდენი საჩუქრის შეძენა, ძალიან შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა,

ყველაფერი ექსპრომტად გამოვიდა, წერილები რომ ავტვირთე ჯგუფის წევრებმა თავადვე გამოთქვეს სურვილი, კონკრეტული ბავშვები აირჩიეს და საჩუქრებიც შეუძინეს.

-რას ითხოვდნენ ძირითადად თოვლის ბაბუისგან?

- ვინაიდან სკოლები დაკეტილი და ონლაინ სწავლებაზე იყო გადასული, დიდი მოთხოვნა იყო ტელეფონებზე, ასევე ველოსიპედებზე, სხვადასხვა სათამაშოებსა და ტკბილეულზე.

წელს კი სურვილებში ხშირად იყო ყურსასმენები და ბურთები.

-როგორ მოხდა საჩუქრების გადაცემა და როგორი იყო ადრესატების ემოციები?

-უკვე გამზადებულ საჩუქრებს თავი მოვუყარეთ, დავახარისხეთ, კულტურის სახლის ტრანსპორტით დავარიგეთ ოჯახებში მე და თამარ ბობოხიძემ, საჩუქრების დარიგებაში დაგვეხმარნენ მოხალისეები გვანცა ბობოხიძე და ნიკა აბდუშელიშვილი. ამ დღეს სანტა-აქცია დავარქვით. ემოციები იყო განსხვავებული, დაუვიწყარი, ბევრი სითბოთი და სიხარულით.

-როგორ ფიქრობ აუსრულეთ ბავშვებს ოცნება?

დარწმუნებული ვარ ბევრს ავუსრულე ოცნება, შარშან 96 ბავშვი დავასაჩუქრეთ, წელს 85-მდე. ამავე ჯგუფის საშუალებით ხდება სეკრეტ- სანტას თამაში, რთულია, საკმაოდ დიდი დრო და ენერგიაა საჭირო, მაგრამ ძალიან მსიამოვნებს რასაც ვაკეთებ, დიდხანს მიმყვება ბედნიერი ბავშვების სახეები და ემოციები,რაც სურვილს მიჩენს მეტი გავაკეთო მათთვის.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ბოლნისელს აქციაში მონაწილეობისთვის, დახმარებისთვის და გამხნევებისთვის. ჩვენ, ყველამ ერთად უკვე მეორე წელია შევძელით და მოვიყვანეთ ჯადოსნური ახალი წელი ბოლნისში.

მინდა ასევე თითოეულ მათგანს, სრულიად ბოლნისელებს მივულოცო შობა-ახალი წელი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ჯანმრთელობა ვუსურვო. სიკეთის მომტანი და ოცნებების ასრულების წელი ყოფილიყოს.

p.s.,,სიკეთის გოგო" საქველმოქმედო აქციების ჩატარებას კვლავ აპირებს, თუმცა რა სახით და როგორი მასშტაბებით, ჯერ არ გადაუწყვეტია, ერთი რამ ზუსტად იცის, სხვების გახარებას, რომელიც მას ძალიან სიამოვნებს და სიხარულს გვრის, მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს.

მაგდა დევნოზაშვილი

მადლობა უფალს, ვარ ბოლნისელი, მქონდა საშუალება ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ბოლნისის განვითარებაში

,,ბოლნისის საპატიო მოქალაქის ტიტული განსაკუთრებულია, ვინაიდან აქ დავიბადე და გავატარე ცხოვრების წლები, მადლობელი ვარ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, რომ დააფასეს ჩემი მოკრძალებული წვლილი რაიონის განვითარების საქმეში".

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ყოფილ დეპუტატს, კოლორიტსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს, შოთა რეხვიაშვილს, 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბოლნისის საპატიო მოქალაქის ჯილდო გადაეცა.

შოთა რეხვიაშვილი წლების მანძილზე სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, ამ პერიოდში არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა, აშენდა ნავთობ ბაზა, არქივის შენობა, სოფელ ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმი და სხვადასხვა სასოფლო დანიშნულების ობიექტები.

დაიბადა და გაიზარდა ბოლნისში, მთელი ცხოვრება აქ გაატარა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ქალაქ ტყიბულში, ორჯონიკიძის სახელობის შახტის ვენტილაციის უბნის უფროსის თანაშემწედ და მოადგილედ. 1972- 74 წლებში მუშაობდა სპეციალური სამშენებლო- სარემონტო სამმართველოს ბოლნისის № 2 უბნის საწარმო ტექნიკური განყოფილების ინჟინრად, სამუშაოთა მწარმოებლად.

მრავალწლიანი და უწყვეტი სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, შოთა რეხვიაშვილი არასდროს წყვეტდა პიროვნულ ზრდას, მან ჩააბარა საქართველოს ზოო-ვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, ზოო ინჟინრის სპეციალობით.

სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს სახალხო კონტროლის ბოლნისის რაიონული კომიტეტის რაიკომის ინსპექტორი. პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებისა და საქმისადმი სიყვარულის გამო, ის არჩეულ იქნა მადნეულის სამთო- გამამდიდრებელი კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივნად. სწორედ ამ პერიოდში, მოხდა ფაქტიურად გაჩერებული საწარმოს ამუშავება.

,,1989-92 წლებში, ვიკავებდი ბოლნისის რაი-აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობას, სწორედ ამ პერიოდში მოხდა სვანეთისა და აჭარის დამეწყრილი რაიონებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისთვის სახლების მშენებლობა ტანძიაში, დისველსა და ხატისოფელში, ამ პერიოდში ვიყავი მშენებლობის შტაბის ხელმძღვანელი. ჩემი თაოსნობით რაიონის ტერიტორიაზე აღდგა სოფლების ძველი ტოპონიმები, რის საფუძველზეც სოფლებს ძველი ქართული სახელწოდება მიენიჭა,"ამბობს ბატონი შოთა.

იგი ზრუნავდა არა მარტო ბოლნისის ინფრასტრუქტურაზე, არამედ მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერება-განვითარებაზე. საქართველო-კვიპროსის ერთობლივი საწარმოს დირექტორის პოზიციაზე მუშაობის პერიოდში, აშენდა რაჭისუბნის მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის სამრეწველო კორპუსი, თუმცა მისი დასრულება, გარკვეული გარემოებების გამო, ვერ მოხერხდა. მუნიციპალიტეტის გამგებლობის პერიოდში, მისი უშუალო მონაწილეობით მადნეულის ბაზაზე, ჩამოყალიბდა ოქროს შემცველი მადნების გადამამუშავებელი საწარმო კვარციტი. ის წარმატებით მუშაობდა, არა მარტო საჯარო სამსახურში, არამედ კერძო სექტორშიც, სწორედ, მისი გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში, მოხვდა ბოლნისის საფეხბურთო კლუბი ,,სიონი" უმაღლეს ლიგაში.

,,ყოველთვის ვცდილობდი ხალხის ყოფა-ცხოვრება უკეთესობისკენ შემეცვალა, არა ერთი ცვლილება განხორციელდა ჩემი ხელმძღვანელობით. ვიყავი საქართველოს გაერთიანებული ქართული ბანკის, ბოლნისის ფილიალის მმართველი, შპს კვარციტის დირექტორი, მადნეულის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ძალიან კარგი და საინტერესო წლები იყო. 2013 წლიდან კი ვმუშაობ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ავტოსატრანსპორტო საწარმოს სპეციალისტად, 2019 წლიდან კი ვარ მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ამ კუთხით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ვურჩევდი მეტი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის დასაქმების პრობლემას, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქალაქისა და სოფლების მოწესრიგებას, მათი პრობლემების მოგვარებას. ძალიან კარგად მახსენდება 1994 წელი, როდესაც გრანდიოზულად აღინიშნა ბოლნისის სიონის ტაძრის 1500 წლის იუბილე, სადაც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის საერო და სასულიერო ხელმძღვანელობამ. ბოლნისი ხომ ქვემო ქართლში და მთლიანად საქართველოში გამორჩეული რაიონია თავისი მდიდარი ისტორიით, უძველესი ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით. მადლობა უფალს, რომ ვარ ბოლნისელი და მქონდა საშუალება ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ბოლნისის განვითარების საქმეში, რომელსაც ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ვუდგებოდი", განაცხადა შოთა რეხვიაშვილმა.

კარანტინში დაწყებული ხელსაქმე

„ბიბლუსის სოფო“_ ასე გაიცნო ბოლნისის საზოგადოების დიდმა ნაწილმა გოგონა, რომელიც წლების მანძილზე წიგნის მაღაზია „ბიბლუსში“ მუშაობდა. მუდამ მომღიმარმა, ფერადმა და პოზიტიურმა სოფო გასიშვილმა თავი მალევე ყველას შეაყვარა. დღეს უკვე მისი ხელნაკეთი აქსესუარებიც უყვართ,

მოსწონთ და უკვეთავენ კიდეც.

„ხელსაქმე ჩემთვის ჰობია, საქმე რომლის დროსაც ვღებულობ მაქსიმალურ სიამოვნებას, რომელშიც ვდებ ყველა დადებით ემოციას რაც კი გამაჩნია. როდესაც რაიმე ნივთს ვამზადებ და ვფიქრობ მის დიზაინზე, გარშემო ყველაფერი ქრება. ვუყურებ ნივთს მყიდველის თვალით და ვფიქრობ მას როგორ მოეწონება? რა ფერებს შეუხამებდა?“

ხელსაქმე პანდემიის პერიოდში დაიწყო, მაშინ როდესაც ყოველდღიური რიტმი შეიცვალა და სამყარომ ცხოვრება ახალ რეალობაში გააგრძელა. კარანტინის დროს სოფო ბავშვობის საყვარელ ხელსაქმეს მიუბრუნდა, სკივრში ჩალაგებული ძველი ნივთები ამოალაგა და ლამაზი თვლებით, ფერთა შეხამებით თმის სამაგრი გააკეთა. „ჩემი საქართველო“ ასე უწოდა

რუკაზე ფერადი თვლებით განთავსებულ საქართველოს კუთხეებს.

„სულ პატარა ვიყავი, დედაჩემის მძივები რომ დავშალე და გადავაკეთე, მას მერე რაც თავი მახსოვს სულ ვჩხირკედელაობ, ხან რას ვშლიდი, ვაწყობდი, ვაწებებდი. დროდადრო მუზა მეწვეოდა, ძალიან მომინდებოდა რაღაცის შექმნა. წლების წინ ბისერებით და ე. წ. ფარფლებით დავიწყე ქარგვა, ვაკეთებდი აბადოკებს, ვხატავდი მაისურებზე, ვამზადებდი სამშვენისებს ქალბატონებისთვის. იმ დროს მორჩენილი მასალა სკივრში მქონდა ჩალაგებული, ერთი წლის უკან , პანდემიის პერიოდში, მომინდა ისევ რაღაცეების შექმნა, ამოვალაგე ნივთები, ბრჭყვიალა ბისერების დანახვისას, პირველი , რაც მომივიდა თავში, საქართველოს გაკეთება იყო. არ მქონდა გადაწყვეტილი თმის სამაგრი იქნებოდა ეს თუ ბროში,უბრალოდ საქართველო უნდა ყოფილიყო გამოსახული, რომელსაც გავიკეთებდი და ყველგან იტყოდა თავის სათქმელს. თავიდან არ ვიცოდი საიდან უნდა დამეწყო, ან როგორი იქნებოდა. ღამის 11 საათი იყო, შვილის რვეულის ყდიდან საქართველოს რუკა გამოვჭერი, დავადე თექა და გადავხატე. მეცინება რომ მახსენდება, იმისთვის, რომ მალე გამეკეთებინა, თექას ორმაგი სკოჩი დავაწებე, დავაკარი ფარფლები, ბისერებით და ნემსით ამოვქარგე, რომ დავამთავრე ღამის 4 საათი იყო. იმ დღესვე მოვირგე, ისეთი ბედნიერი ვიყავი, მეგონა ჩემი საქართველოს გარდა არაფერი ჩანდა გარეთ, მეგონა ყველა ჩემ ბროშს უყურებდა. ეს საოცარი ემოცია იყო.“

ბროშებს, თმის სამაგრებს, სხვადასხვა ფორმისა და დიზაინის აქსესუარები მოყვა. საზოგადოებამ სოფოს ხელნაკეთი ნივთები მალევე აიტაცა და ახლა ის სხვების გახარებაზე ზრუნავს.

„მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახეობის აქსესუარებს ვამზადებ, ვფიქრობ, რომ ჩემი სავიზიტო ბარათი მაინც ,,ჩემი საქართველოებია“ განსაკუთრებით მიყვარს. ყველას, ვინც ჩემს ბროშს გაიკეთებს, სიამაყით ეტარებინოს ის. სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო ჩემთვის საყვარელ ხელსაქმეს დიდ დროს ვერ ვუთმობ, საზოგადოების დაინტერესება მაღალია, ბევრი შეკვეთა მაქვს, ძალიან მახარებს ის ფაქტიც რომ „ჩემი

საქართველოები“ საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, ამერიკაში, იტალიაში და სხვა ქვეყნებშიც გავგზავნე ემიგრანტების თხოვნით. მუშაობის პროცესს დიდი მნიშვნელობა აქვს. გარემო სადაც ვმუშაობ განსაკუთრებული უნდა იყოს, განწყობა აუცილებელია, მქონია შემთხვევა, რომ შეკვეთა მაქვს დასამზადებელი, დავჯდები და ვერ ვაკეთებ, ამ დროს სხვა ისეთი რამის დამზადებას ვიწყებ, რაც სიამოვნებას მგვრის, მასალას ყოველთვის ვარჩევ, რაღაც განსაკუთრებული ემოციით, განსაკუთებული მიდგომით. ფერებს ვუხამებ ერთმანეთს და ვცდილობ მომხმარებლის გემოვნებაზე დადებითად აისახოს,ახალი წელი მოდის და თემატურად ნაძვის ხეებისა და სანტას ქუდების დამზადებაც ვცადე. არ შემიძლია ორი ერთნაირის გაკეთება,თითოეულს ახალი ინტერპრეტაციით ვაკეთებ“ სოფოს ინსპირაციის წყარო ჰობის მიმართ დიდი სიყვარული, ის დადებითი ემოციები, ხასიათი და განწყობაა, რომელსაც ყოველდღიურად გასცემს და იღებს საზოგადოებისგან და მომხმარებლის მხრიდან.

,,მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისთვის და ჩემ საყვარელ ბოლნისს და ბოლნისელებს მივულოცო დამდეგი ახალი 2022 წელი. მართლა გამორჩეულად მიყვარს ბოლნისი და ყველა ბოლნისელი , მუდმივად ვგრძნობ სითბოს და სიყვარულს თითოეული ადამიანისგან. მინდა უკლებლივ ყველას ვუსურვო ნათელი მომავალი ,მშვიდობიან და გაბრწყინებულ საქართველოში'',- სოფო გასიშვილი.

ავტორი: მაგდა დევნოზაშვილი

ბოლნისის ცენტრალურ კლინიკას მადლიერი პაციენტის წერილი

ჩემი ოჯახი, რამდენიმე თვის წინ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დადგა, მეუღლე გია კარგარეთელი კოვიდით დაავადდა და საკმაოდ დამძიმებული, ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში გადავიყვანეთ, სადაც უმძიმესი დღეები გამოვიარეთ. ჩემი ოჯახი ხელახლა დაიბადა,მაშინ, როდესაც თითქმის დამთავრებული გვეგონა, სწორედ მაშინ მოახდინა სასწაული უფალმა და გამომიგზავნა ისეთი ადამიანები როგორებიც არიან ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში, ეს იყო სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვება, რასაც მთელმა კოლექტივმა, კლინიკის ხელმძღვანელებმა, დარეჯან ჩხეტიანმა და გია სანიკიძემ მედპერსონალთან ერთად, თავგანწირული შემართებით, ღირსეულად გაართვა თავი, უდიდესი მადლიერება და პატივისცემა მათ ამისთვის.

ოჯახის და ნათესავების სახელით დიდი მადლობა მთელ კოლექტივს:

ისმაილ ქევხიშვილს, გიორგი ქუქულაშვილს,

ლალი სიკინქალაშვილს, ქეთი მახარაშვილს, დოდო არეშიძეს, თამრიკო რობაქიძეს, მაია მუშკუდიანს, ნელი გუგუსიანს, ზეხრა ბაირამოვას და ეკა მიქელაძეს, ამ საოცარმა გუნდმა, ჩემი ოჯახი დიდი ტრაგედიისგან იხსნა, პროფესიონალმა და თავდადებულმა ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ კოვიდი განაჩენი არაა, კლინიკებში ხალხს არჩენენ და სიცოცხლის საშუალებას აძლევენ.

პატივისცემით: მზია თუთიაშვილი

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯიში სამთოელის დღე აღინიშნა

17 დეკემბერს კომპანია არემჯიში სამთოელის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. უკვე მე-3 წელია, რაც კომპანიამ მივიწყებული ტრადიცია აღადგინა და 3500-მდე დასაქმებულთან ერთად, პროფესიულ დღესასწაულს სამთოელის დღეს აღნიშნავს.

ტრადიციულად, კომპანიის მენეჯმენტმა წლის ხუთი საუკეთესო თანამშრომელი გამოავლინა და მათ სამთოელის ჯილდოები გადასცა.

2021 წლის სამთოელები გახდნენ: არჩილ ჯაყელი - წარმოების დირექტორის მოადილე, რეზო ლობჯანიძე - წარმოების დირექტორის მოადილე, კახაბერ კეკელიძე - სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი, ლალი ჯავახიშვილი - ფეთქი მასალების საწყობის უფროსი და როზა გველესიანი - ინჟინერ-კონსტრუქტორი.

წელს პირველად დაჯილდოებაზე დასახელდა წლის საუკეთესო დეპარტამენტებიც. სამთოელის ჯილდო კომპანიის კოვიდ 19-ის მართვის ოპერატიულ შტაბს და გარემოს დაცვის დეპარტამენტს გადაეცა.

საზეიმო ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის, არემჯის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში ჩართული სპორტული, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ვულოცავ ყველა ჩვენ თანამშრომელს სამთოელის დღეს! მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის უკან 3500-მდე დასაქმებული და მათი ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომა დგას, ამიტომ კიდევ ერთხელ მადლობა ყველა სამთოელს! მათ ვინც ახლაც, სხვადასხვა ლოკაციაზე პირნათლად ასრულებს საკუთარ მოვალეობას და მუშაობს საკუთარი ოჯახის, რეგიონის და ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.“ - განაცხადა არემჯის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ.

ახალი ქიმიური ანალიზის ლაბორატორია „არემჯიში“

არემჯის ახალი, თანამედროვე ტექნიკა-დანადგარებით აღჭურვილი ქიმიური ანალიზის ლაბორატორია, არემჯის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ კომპანიის სხვა მენეჯერებთან ერთად საზეიმოდ გახსნა.

ქიმიური ანალიზის ლაბორატორიისთვის აშენდა ახალი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი შენობა, რომელშიც დაცულია შრომის უსაფრთხოების ყველა საერთაშორისო სტანდარტი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალურად ლაბორატორიისთვის დაპროექტდა ერთ სართულიანი შენობა, რაც ხელს უწყობს ლაბორატორიის 24/7-ზე ეფექტურ ფუნქციონირებას და მართვას.

,,ქიმიური ანალიზის ლაბორატორია, კომპანიისათვის, მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. ყოველდღიურად, ამ ლაბორატორიაში, სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესიდან აღებული 500-ზე მეტი სინჯის ანალიზი ხდება. მიღებული შედეგები ეგზავნებათ შესაბამის სამსახურებს, რომლებიც გადაწყვეტილებებს სწორედ ამ ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით იღებენ.'' - აღნიშნა „არემჯის“ ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსმა დავით კუპრავამ.

არჩილ ჯაყელი

კომპანია არემჯის წარმოების დირექტორის მოადგილე

არჩილ ჯაყელი, არემჯის წარმოების დირექტორის მოადგილის პოზიციას 2020 წლიდან იკავებს. მას სამთო მიმართულებით, მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება აქვს. პროფესიით სამთო-ინჟინერია და მას წლების მანძილზე კომპანიაში არაერთ პოზიციაზე მოუწია მუშაობა. იგი 19 წლის მაინძილზე იკავებდა აფეთქების უბნის უფროსის, მთავარი ინჟინერის მოადგილის, კარიერის მონიტორინგის ინჟინერის, მადნეულის კარიერის უფროსის მოადგილის, ბურღვა- აფეთქების უბნის უფროსის და სხვა პოზიციებს. 17 დეკემბერს არემჯიში სამთოელის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე, არჩილ ჯაყელი, კომპანიის განვითარების და წარმოების საქმეში შეტანილი წვლილისთვის 2021 წლის სამთოელად დასახელდა.

„გასული წლებისგან განსხვავებით, კომპანიაში წინსვლა ყველა მიმართულებით მიმდინარეობს. მოხდა საწარმოს გადაიარაღება და თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასვლა, ასევე შრომის უსაფრთხოების უახლესი სტანდარტის დამკვიდრება. შემუშავდა გარემოსდაცვითი პოლიტიკა და ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუდმივად ხდება სხვასხვა სფეროში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ასევე მნიშვნელოვანია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები, რომელიც საკმაოდ ფართო მასშტაბებისაა. მეამაყება რომ ვარ არემჯის გუნდის წევრი. მინდა ჩვენი კომპანიის 3500 თანამშრომელს მადლობა გადავუხადო, ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომისთვის და საუკეთესოდ შესრულებული საქმისთვის.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.